საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის მერიის
კულტურის საქალაქო სამსახური

გიწვევთ

27 და 28 აპრილს

სტუდენტურ ქორეოგრაფიულ ფორუმ-ფესტივალზე

„ტერფსიქორე - 2018“

2018 წლის 27 და 28 აპრილს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით, ჩატარდება სტუდენტური ქორეოგრაფიული ფორუმ-ფესტივალი „ტერფსიქორე _ 2018 “, რომელიც დაკავშირებულია ცეკვის საერთაშორისო დღესთან (29 აპრილი UNESCO-ს დადგენილებით 1982 წლიდან აღინიშნება, როგორც ცეკვის საერთაშორისო დღე).

პროექტი ინიცირებულია დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის მიერ, რადგან უმაღლესი სკოლის ქორეოგრაფია-ქორეოლოგიული სწავლება ამ უნივერსიტეტის ექსკლუზიური მიმართულებაა და ხუთივე ფორუმ-ფესტივალი „ტერფსიქორე“ (2013-2014-2015-2016-2017 წ.წ.) აღნიშნული სპეციალობის სტუდენტებისა და სტუდენტური თვითმმართველობის თაოსნობით ჩატარდა.

2018 წლის ფორუმ-ფესტივალი ორ დღიანია და ღონისძიებათა რამდენიმე ბლოკს მოიცავს: სამეცნიერო კონფერენცია, თემატური გამოფენები, მასტერკლასები და დასკვნითი კონცერტი, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საუნივერსიტეტო ქორეოგრაფიული ანსამბლები და ქორეოგრაფიული მიმართულების სტუდენტები საკუთარი ნამუშევრებით.

კონცერტის მონაწილეები:

- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური ცეკვის ანსამბლი „უნივერსიტეტი“;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი “ქართული ფოლკლორი”
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“;
- სოხუმის უნივერსიტეტის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „მირონი“;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სეუ“;
- თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯთან არსებული თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი ,,იმპულსი";
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „დავლათი“;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლი „ახალციხე“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“;
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების სტუდენტები.

ფესტივალის ფარგლებში ტარდება გამოფენა:
წარმოდგენილია:

- კომპანია **„დე-კა“-ს თანამედროვე სამოსის ტრადიციული აქსესუარები** /ავტორები: ქორეოგრაფიული მიმართულების კურსდამთავრებულები ე.გესლაიძე, ხ.მორჩილაძე/;
- **გაბრიელა ხვედელიძის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა** /ქორეოგრაფიული მიმართულების II კურსის სტუდენტი/

მასტერკლასის ფარგლებში ფესტივალი ასევე მასპინძლობს:

- გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის კამერული დასის ხელმძღვანელსა და ქორეოგრაფს _ **მარიამ ალექსიძეს.** შედგება შეხვედრა-მასტერკლასი ქორეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებთან.
- ინკლუზიური ცეკვის სერტიფიცირებულ ტრენერებს (სპეც. ქორეოგრაფ-პედაგოგებს), არაფორმალური განათლების ფარგლებში ინკლუზიური ცეკვის აქტივობების ორგანიზატორებს: **ქეთევან ზაზანაშვილსა და ანა ღვინიაშვილს.** შედგება მათი შეხვედრა სტუდენტებთან პრაქტიკული ვორქშოპით „ქორეოგრაფიული როლური თამაშები“.

სამეცნიერო კონფერენცია:

- წარმოდგენილი იქნება სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პედაგოგების ქორეოლოგიური მიმართულების სამეცნიერო ნაშრომები.

პროექტი მიმართულია არა მხოლოდ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის, არამედ ცეკვის ყველა სახეობის (კლასიკური, სამეჯლისო, თანამედროვე ცეკვების) პროპაგანდა-პოპულარიზაციისათვის საუნივერსიტეტო სივრცეში.

ფესტივალის პროგრამა:

! 27 აპრილი

12.00 - ფესტივალის გახსნა
12.30 - საგამოფენო კოლექცია
• თანამედროვე სამოსის ტრადიციული აქსესუარები
/ე.გესლაიძე, ხ.მორჩილაძე - ქორეოგრ. მიმართულების კურსდამთავრებულები/
• გაბრიელა ხვედელიძის პერსონალური გამოფენა /II კურსის სტუდენტი/
13.00 - სამეცნიერო კონფერენცია ქორეოლოგიაში
16.00 - შეხვედრა-მასტერკლასი მარიამ ალექსიძესთან

მის.: თეატრალურის მე-2 კორპუსი
დავით აღმაშენებლის გამზირი 40.

! 28 აპრილი

12.00 - ვორქშოპი „ქორეოგრაფიული როლური თამაშები“
/ქ.ზაზანაშვილი, ა.ღვინიაშვილი/

თეატრალურის მე-2 კორპუსი, სარეპ.დარბაზი

18.00 - კონცერტი და ფესტივალის დახურვა

თეატრალურის I კორპ., სასწავლო თეატრი
მის.: რუსთაველის გამზირი 19

პროექტის ორგანიზატორი _ საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტი და სტუდენტური თვითმმართველობა

✔ **იდეის ავტორი და კოორდინატორი** _ ანანო სამსონაძე (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქორეოგრაფ-ქორეოლოგი);

✔ **პროექტის ხელმძღვანელი** _ ეკატერინე გელიაშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დრამის ფაკულტეტის ქორეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი).